სდასუ
საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

ბრძ N 20, 07.03.2024წ

საქმისწარმოების დოკუმენტის კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების წესი

სახელმძღვანელო ინსტრუქცია დოკუმენტებზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და დოკუმენტების კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმების თაობაზე

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი (შემდგომში უნივერსიტეტი) „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ახორციელებს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერას ან/და დოკუმენტების დამოწმებას კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

მუხლი 2. ელექტრონული დოკუმენტი

1. ელექტრონული დოკუმენტის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია. ელექტრონულ დოკუმენტს არ შეიძლება ჰქონდეს ელექტრონული ასლი.

2. ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

4. მატერიალური დოკუმენტის ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ ანდა ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

მუხლი 3. კვალიფიციური ელექტრონულ ხელმოწერას ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენება

3.1 უნივერსიტეტი ადმინისტრაციულ ორგანოებთან ელექტრონულ ფორმატში ურთიერთობისას წარდგენილ დოკუმენტზე ახორციელებს კვალიფიციური ელექტრონულ ხელმოწერას ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმას.

3.2 ეს წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს დოკუმენტზე ხელმოწერის შესრულებას ან/და შტამპის დასმას.

3.3 ელექტრონული დოკუმენტის ამონაბეჭდი არის ელექტრონული დოკუმენტის ასლი და მას ელექტრონული დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

3.4 მატერიალური დოკუმენტის ელექტრონულ ასლს ორიგინალის თანაბარი იურიდიული ძალა აქვს, თუ ის ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი პირის მიერ ან/და ელექტრონული შტამპით არის დამოწმებული ან/და დადასტურებული.

3.5 კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა შესაძლებელია მხოლოდ PDF ფორმატის დოკუმენტებზე.

3.6 კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმაზე უფლებამოსილი პირები არიან უნივერსიტეტის რექტორი, უნივერსიტეტის პარტნიორები, საქმისწარმოების სამსახურის უფროსი.

მუხლი 4. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის კვალიფიციური შენახვა

4.1 კვალიფიციური სანდო მომსახურების მიმწოდებელი უფლებამოსილია განახორციელოს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის კვალიფიციური შენახვის მომსახურების მიწოდება, რაც გულისხმობს კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/კვალიფიციური ელექტრონული შტამპის სანდოობის გახანგრძლივებას მისი ტექნოლოგიური მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ.

4.2 უნივერსიტეტის კვალიფიციური ელექტრონული შტამპი ინახება უნივერსიტეტის Google Drive-ზე.

4.3 კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების ტექნიკურ მხარდაჭერას ახორციელებს უნივერსიტეტის საინორმაციო უზრუნველყოფის სამსახური.

მუხლი 5. დასკვნითი და გარდამავალი დებულებები

კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენება დაიწყოს 2024 წლის 7 მარტიდან.